[..]სტამბა და რედაქცია [ტფ]ილისი, სასახლის ქ., [თ.]-აზნაურთ ქარვასლა
[ხელ]ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე[თად] მიმართავენ რედაქციას დილის [..] საათამდე და საღამოს 6—7 „[ფ]. ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
[უ]-მოუწერავ წერილებს რე[დ]აქცია არ ბეჭდავს.
[პირ]-პირ მოლაპარაკება რედაქ[]ტორთან შეიძლება ყოველდღე.
[ტ]ელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., [..] თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან.,

ექიმი ი. ია. გოკიელოვი
მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი], საშარდეს[ი]ს და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით [..]–12 საათამდე, საღამოთი 5–7 საათ.
[უფასოდ] შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.
აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე[ლი]სა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
[..]ანთვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—11)

[გ]აზეთ „კავკასის" კანტორაში
ისყიდება
რუსული ახალი წიგნი
ნორ-ქალაქ
(ბინოკლისა)
[..]ერილები უნებურად ორ-ცოლიანი[ს]ა და საზოგადოდ გაუფრთხილებე[ლ]ის კაცისა.
[ფ]ასი 1 მან., გაგზავნით [პ]ოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნე[ბ]ის გამყიდველებს დაეთმო[ბ]ათ 25%.
[..]მ გამოცემის წმინდა შემოსავ[ალ]ი დანიშნულია გადმოსახლებულ[თ]ა სასადილოსათვის ტფილისში. (20—4)

[..]ოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა [წი]გნის მაღაზიებში და ეკლესიებში.
ცხოვრება
[..]რსისა და მოციქულთა სწორისა წმ.
[..]ო ქართველთ განამანათლებლისა
სურათით
[გ]ამოცემა მორჩილის. რაფიელ ბარამაძისა.
[წი]გნი შეიცავს 40 გვერდს და ღირს ერთი შაური. (10—7)

[ს]ამკურნალო და ამბულატორია
[ს]. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
[სამ]კურნალოში 50 საწოლია ავად[მ]ყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ[ნი]: შინაგანისა, ნერვების, საქირურ[გიო], თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
[გ]ადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერაძე.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ქართლ-კახეთის საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

გამოეცხადა საეპარქიო მთავრობის მადლობა მღვდელ-მთავრულ ლოცვა-კურთხევითურთ: კრონშტადის საკრებულო ტაძრისას წინამძღვარს იოანნე ილიას ძეს სერგიევს და თელავის მიძინების საკრებულო ტაძრისას დეკანოზს მიხეილ ხელაშვილს—შეწირვისთვის თელავის საკრებულო ტაძრის სასარგებლოდ პირველისგან 100 მანათისა და მეორისგან—ფრაკეს სანეცხლურისა, აღსავლის კარის კრეტსაბმელისა, სტიხარისა, ხის სასანთლისა, ოლარისა, ნაბედრენნიკისა, სამკლავეებისა და, ორის ხატისა—ღვთისმშობლისა და წმინდათა მოციქულთა სწორის კონსტანტინე და ელენესი.

ბლაღოჩინს გორის მაზრის მეათე ოლქისას მღვდელს სერგი დავითაშვილს და ამავე ოლქის სამღვდელოებას მცხეთის საკრებულო ტაძრის გასახლებლად 100 მანათის შეწირვისთვის.

ერევნის საკრებულო ტაძრის წინამძღვარს, ბლაღოჩინს დეკანოზს ლაზარე ტურიშვილს, ერევნის ვაჟთა გიმნაზიის სადმრთო სჯულის მასწავლებელს ქრისტეფორე ჯიოშვილს, ერევნის საოსტატო სემინრიის სადმრთო-სჯულის მასწავლებელს—ალექსანდრე ნეფედიევს და სამხედრო მღვდელს მიხეილ დობროვოლსკის—სარწმუნოება-განმანათლებლობით საუბრათა გამართვისთვის.

საეკლესიო მნათეებად დამტკიცებულნი არიან: ახსაბადის მაზრის, სოფელ მიხაილოვკის გლეხი მიხეილ ანდრეევი—ფერისცვალების ეკკლესიის, მესამე სამწლობით, 17 იანვარს 1899 წელს.

# ახალი ამბავი

*** სოხუმის ქალაქის მოურავად როგორც გვატყობინებენ, აზრადა აქვთ მოიწვიონ ცნობილი მემამულე თავადი ანდრია მიხეილის ძე ერისთავი.

ჩვენ ჩვენის მხრით სიამოვნებით მივეგებებით სოხუმელების კანონიერ სურვილს, რადგან თავ. ანდრია ერისთავი საკმაოდ ცნობილია დასავლეთ საქართველოში, ვითარცა განათლებული, სამსახურში გამოცდილი (მომრიგებელ შუამავლად იყო ათიოდე წელიწადი) და საზოგადო მისწრაფების მოღვაწე თავის ერის დღეგრძელობისათვის.

*** მთავარ-მართებლის ჩამობრძანება. როგორც გაზ. „კავკაზი" იუწყება მთავარ-მართებელი კავკასიისა თავ. გოლიცინი ტფილისს არ ჩამობრძანდება ივნისამდე, რადგან მინამ უნდა დაესწროს უმაღლეს მთავრობის დაწესებულებებში კავკასიაში სხვა და სხვა წესრიგის შემოღების შესახებაო.

*** ქალაქის თანხის შესახებ. მთავარ-მართებლის თანაშემწეს უბრძანებია ქალაქის გამგეობისათვის დაუყონებლივ გამოიტანეთ ქალაქის თანხები კერძო ბანკებიდან და სახელმწიფო ბანკში ინახეთ ხოლმე, როგორც მაგას თხოულობს ქალაქის წესდებაო.

*** ელექტრონის გზა ქუთაისში. როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომება ქ. ქუთაისში ელექტრონის ტრამვაი უნდა შემოეღოთ თანახმად ინჟენერი მიხეილოვის პირობისა, მაგრამ ტფილისის ცხენის რკინის გზის დირექტორობა შეეცილა მიხაილოვს, ხოლო ქუთაისის საბჭომ ცივიუარი სტაიცაბ. რობის და ეხლა როგორც ამბობენ თვით საგუბერნიო გამგეობასაც დაუმტკიცებია მიხაილოვისათვის ქუთაისში ელექტრონის ტრამვაის გაყვანა.

*** ქუთაისის საურთიერთო ბანკის წლიური კრება დანიშნულია ამ თვის 28. კრებამ უნდა განიხილოს წარსული წლის ანგარიში, სავარაუდო ანგარიში, გამგეობის მოხსენება ახალ შენობის შესახებ და ბოლოს უნდა აირჩიოს ორი დეპუტატი, სარევიზიო კომისია და ერთი დირექტორი.

ყოველ წევრს საზოგადოებისას ორი ხმის მეტი არა აქვს. ერთი საკუთარი და მეორე მინდობილობით. მინდობილობა შეიძლება მიეცეს მხოლოდ ნათესავთ: მამას, დედას, ძმას, დას, ქმარს, ცოლს და სიძეს, ხოლო რწმუნების ბარათი იმას-ღა მიეცემა ვისაც საწევრო ფული არა ნაკლებ ასი მანეთისა აქვს შეტანილი.

*** ბაქოს ქართული სადამოს ანგარიში. შემოსულა: ბილეთების ფასი 1806 მ. 80 კ. ყვავილების და ქეტონების გაყიდვისაგან 832 მ. შამპანის ღვინისაგან 1052 მან., პროგრამებისაგან 180 მ. შემოწირულება 660 მ. ხოლო სულ შემოსულა 4532 მან 06 კაპ.

ხარჯი: ქართულ დასს—180 მ. რუსის არტისტებს 300 მ. გზის ფული 65 მ., გურულებს 60 მ. მუსიკას 35 მ. მასკები 95 მ. სტამბა და ლიტოგრაფია 70 მ., ქეტონები 208 მ. ყვავილები 31 მ. რ[..]ალი და სხვა მებილი 57 მ. შამპანის ღვინო და საუზმე 366 მან. ხარჯი სულ იყო 1745 მან. დარჩა ნაღდი შემოსავალი 2786 მან. 24 კაპ.

*** **მუშათა საფოკებში.** როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან მთავრობას აზრად აქვს აფთეკებში შემოიღოს ყველასათვის სავალდებულოდ მუშაობა მხოლოდ შვიდი და ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს რვა საათისა.

*** **ექიმის საქციელის გამო.** გუშინდელ გაზ. „ტფ. ფ.“ დაბეჭდილია ფრიად სამწუხარო ცნობა ჩვენებურ ექიმზე ვ. მანსვეტოვზე. ჩვენ არ გვჯერა, რომ ხსენებული ამბავი მართალი იყოს და უეჭველია ბ-ნი მანსვეტოვი თავს გაიმართლებს საზოგადოების წინაშე.

*** **სამეურნეო საზოგადოების** კრება, როგორც გაზ. „ნ. ობ.“ იწერება უნდა შესდგეს 25 მარტს. ამ კრებაზე სხვათა შორის წაკითხული იქნება საინტერესო მოხსენება სინდიკატებზე და საზოგადოდ სამეურნეო ამხანაგობაზე. დასასრულ არჩეულ იქმნებიან თანამდებობის პირნი.

*** **ცრუ პოეტების წიგნაკები.** ტფილისში ხშირად იბეჭდება ხოლმე პატარ-პატარა უხეირო ქართული სახალხო წიგნები, ნამეტურ ლექსები. ამ წიგნებს კაცი თვალით ვერსად ნახავს, რომ შეეძლოს მისი გაცნობა და რამის თქმა. ერთი სიტყვით, ეს წიგნები ჩვენის მწერლობის ასპარეზზე უჩინრათ შთება, მას ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი სულ ვერ იცნობს.

ნაცვლათ ამისა მიტომ ამ წიგნაკებს ვიღაც მაწანწალა ბიჭები დაათრევენ აქა-იქ და უმეტეს ნაწილს წიგნებისას სახლში მოსამსახურე ბიჭებზე ავრცელებენ.

საჭირო კია, რომ ასეთ წიგნებს ჩვენგან ყურადღება მიექცეს და ყოველ ასეთ პატარა წიგნების ცნობა აღინიშნოს გაზეთში.

*** **მწარე მენაშენა.** ამ წლის „ცნობის ფურცლის“ 718 №-ში დასტამბულია ბიბლიოთეკის ანგარიში ს. აკეთიდან. რევიზიის წევრნი საქვეყნოდ აცხადებენ წასული 1898 წ. ბიბლიოთეკის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს, მკითხველთა რიცხვს, კატალოგის არევ-დარევას, წიგნების დაკარგვას და წინასწარმეტყველებენ ამ ერთხელ მშვენიერი და თითით საჩვენებელი ბიბლიოთეკის გაქრობას, აგრეთვე დასძენენ, რომ ბ. [illegible] იმედია, დამაარსებლები [illegible] მოკიდებენ ამ [illegible] ბიბლიოთეკის საქმეს ხელს [illegible] სიცოცხლეს მიანიჭებენ [illegible] ეს 1894 წ. 23 აპრილიდან ვიცოდით, რომ აკეთის წიგნთ-საცავის საქმე მეტად აწეწილ-დაწეწილი იყო. აგრეთვე კარგადაც წარმოდგენილი გვქონდა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე აღარ ექნებოდა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, რომელთაც აქ არ დავასახელებ; მხოლოდ ვიტყვით, რომ აკეთის ბიბლიოთეკის საქმე მეტად რთულია და საჭიროც არის, რომ ყოველივე მიზეზები გამოირკვეს, თუ რამ წაიყვანა ასე არა სასიამოვნოთ ამ წიგნთ-საცავის საქმე. დღეს ბ. გამგეს საქვეყნოთ მივმართავთ, რომ ნათლათ და გულ-ახდილათ გამოაცხადოს ყოველივე, შემოსავალ-გასავალი წიგნთ-საცავისა 1893 წ. სექტემბრიდან და მით მოსპოს საზოგადოებაში ის მითქმა-მოთქმა, რომელიც დღეს კიდევ არის ამ ბედ-კრული ბიბლიოთეკის შესახებ. დასასრულ გთხოვთ გამოაცხადონ დაკარგულ წიგნების სათაურები, რამდენიც შესაძლებელია და დავთრებში აღნიშნულია.

ზ.

*** **ცხინვალის ხეობა.** 10 ნოემბერს ს. გერში შეიყარნენ 8 სოფლის მკვიდრნი ოსები, რომლებიც შესდგება თითქმის სამასი კომლიდან; სცხოვრობენ ქართველების მახლობლად და ნახევარზე მეტი თითქმის წმინდა ქართულს ლაპარაკობენ. მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი სკოლების ინსპექტორი ავტიხი ბესარიონის ძე უ. მამინაიშვილი დიდხანს ელაპარაკა ყრილობას ქართულ ენაზე, უთარჯიმანოთ. ხალხმა დამშვიდებით მოისმინა უ. ინსპექტორის წინადადება სკოლის გახსნის შესახებ. ხლტაცებით მიეგებნენ ამ წინადადებას და ყოველისავე, ულაპარაკოდ თავიანთი მამასახლისის თანადასწრებით ერთხმად დაადგინეს ყრილობაზე განაჩენი, შემდეგი შინაარსისა: „გაიხსნას სოფ. გერში, როგორც საშუალო სოფელში, ერთკლასიანი სასწავლებელი მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა კავკასიაში; ამ სკოლის შესანახავად, ყოველ წლივ ჩვენ შორის შევაგროვოთ ხოლმე ოცი თუმანი და წარუდგინოთ ყოველ წლივ ეს ფული ზემოხსენებულ საზოგადოებას; დავიქირაოთ სკოლისათვის მოსამსახურე, რომელსაც უნდა უძლვებოდეს ჩვენი სოფლის საზოგადოება; მივუტანოთ ყოველ წლივ სკოლას შეშა, რაც კი მოუნდება. მოვალენი ვართ ყველამ ვგზავნოთ ჩვენი შვილები სასწავლებელში რა დროსაც კი სასკოლე გახდება და 3 წლის განმავლობაში აღარ ვამოვიყვანოთ სასწავლებლიდან“.

ამ 5 წლის წინად, სოფ. გერში მთავრობის ნებადართვით, აშენებულ იქმნა ერთ სართულიანი ნათალი კლდის სახლი. ჰვრივის სამრევლოს კრებულისათვის, რომელიც შესდგება ოთხი მორდილი ოთახისაგან და დაჯდა მგონი ას თუმანზე ძრიელ მეტი. ამ სახლებში, ეხლანდელი მღვდელი, აღარაცხოვრობს, რადგანაც იმას თავის საკუთარი სახლები აქვს შტატის ეკკლესიის გვერდზე ს. ჰვრივში და ეს სახლები ცარიელია, გარდა ერთი ოთახისა, სადაც ცხოვრობს მედავითნე. ხალხმა სთხოვა ბ. ინსპექტორს: გვიშუამდგომლე უმაღლეს მთავრობასთან, რომ ეს სახლი მოგვეცეს სკოლისათვისაო და რაც შეკეთება მოუნდება, იმას ჩვენ ვიკისრებთო. ბ. ინსპექტორი დიდი სიამოვნებით დასთანხმდა ამ წინადადებას. ადგილობრივმა მღვდელმა მ. გრიგოლ ქოქოშვილმა აღუთქვა ბ. ინსპექტორს, რომ ვიშუამდგომლებ სასულიერო მთავრობის წინაშეო, რომ ნება მომეცეს ყოველ წლივ, ამ სკოლის შესანახავად, ვაძლიო ათ-ათი თუმანი გერის ეკკლესიის შემოსავლისაგანაო, რადგანაც ამ ეკკლესიას იმდენი შემოსავალი აქვს, რომ ამ წლიურ გადასახადს სრულებითაც არ შეიმჩნევსო. გარდა ამისა მღვ. გრ. ქოქოშვილმა ფორმალურად ქაღალდზე დაწერით, იკისრა თავის საკუთარი ხარჯით, შესძინოს სკოლას რაც კი ავეჯი მოუნდება, ე. ი. მოწაფეების მაგიდები, მასწავლებლის მაგიდა და სავარძელი, კლასის დაფა, წიგნების განჯინა და სხვა წვრიმალი ავეჯი. ამ სკოლის გახსნაზე ყველაზე უფრო ძრიელ მოწადინებულები იყვნენ ყლარცელები, და გერელები. ვისურვებ, რომ ამ სასიქადულო სოფლებს სხვა სოფლებმაც მიბაძოს და თუ თვითეულმა სოფელმა ცალკცალკე არა, 5—6 სოფელი შეყრილიყოს ერთად და დაეარსებინათ სასწავლებლები.

მართალაძე

*** **ს. საგარეჯო** (გარე კახეთი). **ჩხუბის დაბოლოვება.** სოფ. საგარეჯო მდებარეობს აღმოსავლეთით ტფილისიდგან ორმოცდარვა ვერსზედ, და შესდგება თითქმის ათას ორასი კომლიდგან; მათ შორის სამი ნაწილი ქართველია და დანარჩენი კი სომხობა. დიდი ხანია, რაც გარეჯელებს უკმაყოფილება აქვთ, სხვა ახლომახლო მყოფ სოფლელებთან, ე. ი. გიორგიწმინდელებთან და ნინოწმინდელებთან (ს.ს. გიორგიწმინდა და ნინოწმინდა) მამულის თაობაზედ. სამივე ამ ზემოხსენებულის სოფლელებს ჰქონდათ მფლობელობაში მამა-პაპიდგანვე დაწყებული დღემდე საეკკლესიო ადგილი წმ. მამა-დავით გარეჯელის მონასტრისა, რომელიც არ იყო ურთ-ერთა შორის დაყოფილი, რის გამოც მოსდიოდათ
თმანეთში ჩხუბი და უკმაყოფი[...]
ბა. თითქმის საქმემ იქამდის [...]
ღწია, რომ შარშან თიბათვის [...]
მდეგში გარეჯელებმა მოჰკ[...]
ჩხუბის დროს ერთი გიორგიწ[...]
დელი გლეხი; რადგანაც სიმ[...]
ლით გარეჯელები სამჯერ მ[...]
არიან გიორგიწმინდელებზედაც
ნინოწმინდელებზედაც, ამიტ[...]
ყოველთვის ერეოდნენ ამ ორ[...]
საბრალო სოფლელებს. ბოლ[...]
ამ უკანასკნელმა საქციელმა მ[...]
ცია ყურადღება და მთავრო[...]
განკარგულებით იქმნენ ერთმა[...]
თში დაშორებულები და მიანი[...]
ყველა სოფელს თავიანთ წი[...]
ადგილები. სოფ. გარეჯელებს [...]
დევაც ჰყავთ გამოწვეული თავიან[...]
ხარჯით კერძო მიწის მზომელი [...]
უთნელაშვილი, რომელიც შეუ[...]
უკვე თავის საქმის აღსრულე[...]
1-ლ მარტიდგან და უყოფს მ[...]
ვრებს კომლეულათ ადგილს, რ[...]
მლისთვისაც დიდი მოხარულ[...]
არიან ყველა აქაური მცხოვრებ[...]
— მიკიტნხანებას დაკეტვა. ს[...]
თა შორის, ამ მეტად დიდ სა[...]
არული საქმეზედ, არ შეგვიძ[...]
ჩვენი გულითადი მადლობა [...]
გადუხადოთ ჩვენი სოფლის მ[...]
სახლისს იოსებ კურხულს, რომე[...]
მეოხებით წელს იქნა თითქ[...]
თორმეტი მიკიტნის დუქანი [...]
კეტილი სოფ. საგარეჯოში, [...]
დაც დილიდგან საღამომდე ხა[...]
ხით სამსე იყო და დროს ატარ[...]
დნენ ღვინის სმაში და ლოთო[...]
ში. ეხლა იმიდეა, რომ ჩვენმა [...]
ძინებულმა სოფელმაც გამოი[...]
ძოს და შეიმოსოს, როგორ[...]
გონებით, ისე მატერიალურათ [...]
ველ ესრე სწავლა განათლე[...]
მეოხებით. სოფ. საგარეჯოში [...]
ყოფება ორი სასწავლებელი, [...]
კლასიანი სამინისტრო და ერ[...]
—საეპარქიო, სადაც მოსწავლ[...]
რიცხვი ას სამოც-და-ათამდე[...]
დროებით გარეჯელ[...]

*** **ს. გურიანთა** (გურია). [...]
თი და მადნეულობა. აქ მრავ[...]
ადგილებზე აღმოჩნდა ნავთის [...]
შანი, ტყეები სახნავ სათესი მინ[...]
რები სულ იჯარით აიღეს ამხა[...]
გობებმა. ვისი ამხანაგობაა მარ[...]
ლი ჯერჯერობით არ ვიცით [...]
ონდ, იმედია ნაალდგომევს ცხ[...]
მუშაობა გაიმართება, როგო[...]
დიდად სასარგებლო იქნება [...]
რიის მკვიდრ-მცხოვრებლებთათვ[...]
როგორც ამბობენ, ნავთი ძლ[...]
კარგი აღმოჩნდა, ასრე, რომ ბა[...]
ნავთს სჯარბობსო.

ყველა დარწმუნებულია, რომ [...]
რიონთში ნავთი მოიპოვება, [...]
რამ სიღარიბის გამო ვერვინ [...]
-წვია მცოდნე პირები და ს[...]
დვილე შეეტყოთ ბოლოს გ[...]
ჩნდნენ შეძლებულნი პირნი,

...ლიეს და აღმოაჩინეს ნავთი, ...ადგილ-მამულები იჯარით ...ლით ხუთ თუმნად დესეტი-

...იაში მრავალი ადგილებია, ...მრავალგვარი მადნების ნი-...ანს, მაგრამ არავინაა, რომ ...ლიოს და ისარგებლოს ...სიმდიდრით.

ასლან

## ...წამენი ბიძინა, ელისბარ და შალვა. *)

...ვაწლით შემოსილნო უფლისა-...ნო, ნეტარ არს მიწა, რომელი ...ვანიპოხა სისხლითა თქვენითა და ...წმიდა სამარხო იგი, რომელთა ...შეიწყნარეს გვამნი თქვენნი, რა-...მეთუ სტადიონთა მას შინა მტე-...რი მოაძლურეთ, და ქრისტე ...ღმერთი ქადაგეთ, მას ვითარცა ...სახიერსა ევედრენით, შეწყალე-...ბად სულთა ჩვენთა.

...ტროპარი 18-ს სექტემბერს),

...და რამდენიმე წელიწადი, ...ან წმიდისა შალვისამან, ...მოყვარე ქეთევანმა და ძე-...ისმან დავითმა, წარგზავნეს ...თს სარწმუნო კაცნი იქ, ...იყვნენ დაფლულნი გვამნი ...წმიდათანი; ამოიღეს საფ-...გან და ნახეს საკვირველე-...სამნივე შეერთებულიყვნენ, ...ყოფელნი, მაგრამ თავები კი ...ჰქონდათ, რადგან ფრანგთ ...მეხთ, იმ ქვეყანაში მყოფთა ...თ და დაეკრძალათ, აიღეს ...მნი დამოასვენეს ქართლში. ...რა მათი მოსვენება, ბუა-...ლი ქართველობა შეიკრიბა ...ყეს ამბორის ყოფა გვამთა. ...ვე წმინდანი ერთი მეორისა-...არ განირჩეოდა და არც შე-...ო იყო მათი ცნობა, რადგან ...ნი იყვნენ. სამნივე დაკრძა-...იკორთის მონასტრის ეკკლე-...ი, ჩრდილოეთის მხრით, სვე-...ქვემოთ, რომლი ეკკლესიაც ...ქ გორიდგან მოშორებულია ...ვერსით.

...დიდებული ტაძარი იკორ-...დღესაც შესანიშნავია თავი-...სოცარის აგებულობით, რო-...ც მეხუთე საუკუნის ნახევა-...ერისთავის ადარნასე მეორი-...ნა აშენებული. ამ ტაძრის ...ების რამდენიმე ხნის შემდეგ ...უნებული იყო აქავე მღვდელ ...ონთა სავანე სასულიერო ...ლებლით, რომელშიაც სა-...იერო და საერო პირნი განა-...მას იღებდნენ თანხმად მართლ-...დებელის სარწმუნოებისა. აქ-...ათ რა დიდი მამულ-დედული ...ყვნენ რა უზრუნველ ყო-...ნი ყოვლის მხრივ, იგი მონა-...ნი, მოშორებულნი ამ წუთის ...ულის აღშფოთებულს ცხოვრე-ბას, იკორთის სავანეში სწირავ-დნენ მსხვერპლს და ევედრებოდ-ნენ ღმერთს მართლ-მადიდებელ თანამოძმეთათვის. ამ დიდებულს, შესანიშნავის იკორთის ტაძარში, რომელიც იყო და არის სამარე წევრთა დაწლ შემოსილთა თავად ერისთავთა ქსნისათა, მიიღეს თავ-შესაფარი სამთა თავადთა: ბიძინა ჩოლოყაშვილმა, ელიზბარ და შალვა ერისთავთა, რომელთა მიიღეს გვირგვინი მოწამეობისა სპარსეთში შაჰ-აბაზ მეორის დროს 1661 წ. მართლ მადიდებელის სარწმუნოების მტკიცე აღსარებისა და თავის სამშობლოს დაცვისათვის. საქართველოს ეკკლესიამ შერაცხა რა მოწამენი წმიდათა შორის სამშობლო ეკკლესიისა, დაადგინა დღესასწაული მათ პატივსაცემლად 18 სექტემბერს.

როგორც ვხედავთ, ძველს დროში, საქართველოში, მართლაც სარწმუნოებით დაცვა და მის მკვიდრ ნიადაგზედ დაყენება, დიახ დიდი საძნიო და სავალდებულო საქმე ყოფილა. ამ მიზნის მისაღწევად და განსახორციელებლად არა ასი და ათასი, არამედ მრავალზედ უმრავლესი მსხვერპლი იყო საჭირო; ესრეთ გაჭირვებულს მდგომარეობაში თვალ-საჩინო და ღირს შესანიშნავი ადგილი უჭირავს ძმურს განყოფილება-კავშირს ქართველთა წარჩინებულის ერისას ერთისა მეორისადმი. იმ ერს, რომელიც ხალხს მეთაურობდა.

სწორედ ამ აზრით გამსჭვალულნი წმიდა მოწამენი: ბიძინა, ელისბარ და შალვა, როგორც ცისკარი დილისა ცაზედ, ლაჟვარდოსან ღრმა-კამარაზედ განბრწყინებული, — შეიქმნენ საქართველო ეკკლესიის მოწამეთა დასთა გვირგვინნი, რადგან ამათ შემდეგ, მართლაც ჩვენს ეკკლესიას სხვა აღარავინ ულიარებია მოწამეთ და მით მან თვისი კარი დახურა. ამ მოწამეთ სამშობლო ეკკლესია იხსნეს მოსისხლე მაჰმადიანთაგან, რის შემდეგ საქართველომ ცოტათი თავისუფლადღა ამოისუნთქა.

თვითვეულის ხალხის ცხოვრებაში მართლაც დგება ხოლმე ისრეთი მძიმე და აუტანელი, ბოროტი და საზიზღარი დრო, რომელსაც ჩამომავლობა როგორც ზიზღით იგონებს და მასთან მათი გული სძრწის, ისრეც გულითადი სიბრალულიც ერთდება, იმათი, რომლებიც უმანკოთ დაიტანჯნენ, ამასთანავე მადლობასაც სწირავს ღმერთსა, რომ იგი ამნაირს ცხოვრებაში აღარ ვარდება. ჩვენ თუ გვიყვარს დღეს ჩვენი მშობლიური, ეკკლესია და ამით ვამაყობთ, იმიტომ რომ მშვიდობიანს, უშფოთველს და მყუდრო ცხოვრებაში ვართ; წინაპართ წარსული გავლილი უბედურებასა და ტანჯვაშიც უნდა გვიყვარდეს, რადგან ამაში ჩვენ ვპოვებთ ნაყოფს და საფუძველს ჩვენისავე დაურღვეველის მყუდროებისას და წარმატებისას.

ჩვენთვის დიახ წმიდა უნდა იყოს მამაპაპათ ანდერძი და თქმულებანი. ჩვენთა წინაპართ, ღირსად ქებულთა ცხოვრება, ჩვენთვის ღრმად სამოძღვრებელი უნდა იყოს და უწმინდესს მცნებადაც მიგვაჩნდეს მათგან წარმოთქმულნი ზნეობა სარწმუნოებით დაცვის შესახებ წმიდა და გულის გასაგმირავნი სიტყვები; მათი სიხარული ჩვენ სიხარულად უნდა მივიმჩნიოდ და მწუხარება ხომ ჩვენდა მწუხარებად.

მღვ. იოელ გამრეკელი

## ბრძნული თქმულება

—

ვისაც ეშინიან მოტყუებისა, იგი ტყუილს სხვას ასწავლის.

—

დიდებული კაცი იგია, ვინც მაენდობა უფლის განგებას.

—

სამყაროს გამჩენს, რომელმაც ცხოვრების კანონები გაგვიჩინა, სახეში ჰქონდა ჩვენი ჯანმრთელობა და არა ნებივრობა. რაც კი ჩვენს ჯანმრთელობას ეწირვება უყოყმანოდ, მუდამ მზად არის.

—

არ ვიცი ვისზე უფრო გავჯავრდე, — იმათზე, რომელთაც უნდათ, რომ ჩვენ არაფერი ვიცოდეთ, თუ იმათზე, რომელთაც არ უნდათ ის უფლება მაინც გვქონდეს, რომ არაფრის მცოდნე დავრჩეთ.

## გასართობი

—

ერთი დამნაშავე და ადვოკატი სხედან და მუსაიფობენ. კლიენტი არწმუნებს თავის ვექილს, რომ

— ჩემსავით უდანაშაულო და პატიოსანი კაცი იშვიათია!

— ეგ რა თქმა უნდა აგრეა, მაგრამ მე მაინც, ვითომც თქვენს ვექილს, ხომ უნდა ვიცოდე რამდენი ავკაცობა ჩაგიდენია და რამდენი მოგიპარავს სამსახურშიო!...

# წვრილი ამბავი

—

თამბაქოს მოტრფიალენი. რაც დღე გადის უფრო და უფრო მრავლდება თამბაქოს მწეველნი, ხოლო ბურნუთის მოტრფიალენი ნელ-ნელა მცირდება და ამ ხანებში მარტო ბებრებიღა თუ ხმარობენ ბურნუთს. აგრეთვე ნაკლებ ხმარობენ ჩიბუხებს და ყალიონებს, სამაგიეროდ ძრიელ გავრცელდება თამბაქოს მოწევა პაპიროსები, ციგარები და სხვა, არა თუ ვაჟ-კაცები არამედ ქალებიც კი მიეჩვივნენ. ეხლა იშვიათად თუ შეხვდება კაცი, რომ ვაჟ-კაცი თამბაქოს არ ეწეოდეს. რაოდენად გავრცელდება თამბაქოს წევა ქვეყნიერებაზე იქიდანა სჩანს, რომ ამ ჟამად მთელს მსოფლიოზე მზადდება 65 მილიონი ფუთი დაფასებული 480 მილიონ მანათად.

## შემომწირველთა სია კავკასიის ქართული ეკკლესიისთვის 1898 წ.*)

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 168) ისაკ ზაკაიძემ. . . | 5 „ | „ |
| 169) ლევ. ზირაქაშვილი . | 3 „ | „ |
| 170) სერ. ზუდიევმა. . . | 3 „ | „ |
| 171) მატ. ზახაროვმა . . | 1 „ | „ |
| 172) ადამ ზაალოვმა . . | 1 „ | „ |
| 173) ზაკ. ზაკაევმა. . . | 1 „ | „ |
| 174) მიხ. გ. ინასარიძემ აგური, მუშ. და ეკლ. მორთულობა . . . . . | 267 „ | „ |
| 175) ივ. ილურიძემ . . | 10 „ | „ |
| 176) თევ. იმედაძემ . . | 5 „ | „ |
| 177) ივ. ელიოზაშვილი. | 1 „ | „ |
| 178) გრ. ოსიფოვმა . . | 1 „ | „ |
| 179) ანდრ. იოსავამ . . | 1 „ | „ |
| 180) სერ. ირაულიძე. . | — | „50 |
| 181) სერ. ივანაშვილი . | — | „50 |
| 182) შ. იმერლიშვილი . | — | „50 |
| 183) გრ. ლუკ. ქორქაშვილმა ფეხი დირეპ. . . | 110 „ | „ |
| 184) პან. პრ. კატინსკიმ. | 100 „ | „ |
| 185) ივ. კახაევმა . . | 40 „ | „ |
| 186) ანდ. კობიძემ . . | 30 „ | „ |
| 187) ტ. ვან. კახიძე . | 25 „ | „ |
| 188) ვას. კაიშაუროვმა . | 25 „ | „ |
| 189) ნიკ. კაიშაუროვმა . | 20 „ | „ |
| 190) გიორ. კუმსიევმა . | 20 „ | „ |
| 191) ალ. კვირიკაშვილმა. | 15 „ | „ |
| 192) მაკ. კვიჟინაძემ . | 15 „ | „ |
| 193) მარ კახიძემ, საეკლესიო მორთულობა . . | 15 „ | „ |
| 194) ზაქ. კერესელიძემ. | 40 „ | „ |
| 195) არ. კირაკოზოვმა. | 10 „ | „ |
| 196) ალ. კალინკინმა . | 10 „ | „ |
| 197) კოლოდიაჟნიმ. . | 10 „ | „ |
| 198) სო. კოლოლოვმა. | 10 „ | „ |
| 199) გ. ნ. კარაგოდინმა. | 10 „ | „ |
| 200) პ. დ. კარაშვეცმა . | 10 „ | „ |
| 201) ნეს. კობერიძემ . | 6 „ | „ |
| 202) „კახეთის“ ამხან. | 5 „ | „ |
| 203) ი. კარაჩკოვმა . | 5 „ | „ |
| 204) ი. კოპაიძემ . . | 5 „ | „ |
| 205) კოჯაიანცმა . . | 5 „ | „ |
| 206) მ. ნ. კოპაძემ . | 5 „ | „ |
| 207) ივ. ი. კურკუმელოვმა . . . . . . . | 5 „ | „ |
| 208) იაკ კამარაულმა, მუშაობა . . . . . | 3 „ | „ |
| 209) მაკ. კირაკოზოვმა. | 3 „ | „ |
| 210) გ. კოგოშვილმა . | 3 „ | „ |
| 211) ალ. კანდელაკი. . | 2 „ | „ |
| 212) ი გ. კირაკოზოვმა. | 2 „ | „ |
| 213) ბ. გ. კირაკოზოვმა. | 2 „ | „ |
| 214) ვას. კუმსიევმა . | 2 „ | „ |
| 215) ს. კაზაროვმა. . | 2 „ | „ |
| 216) გიორ. კობაიძემ . | 2 „ | „ |

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 776.

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 776.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 217) | ილ. ქაჩლიშვილი. | 2 | „ | „ |
| 218) | ვას. კაიშაუროვმა. | 1 | „ | „ |
| 219) | ივ. კერესელიძემ. | 1 | „ | „ |
| 300) | დიმ. კუზნეცოვმა. | 1 | „ | „ |
| 301) | ოლ. კარაშჩუკოვმა. | 1 | „ | „ |
| 302) | კუზნეცოვმა . . | 1 | „ | „ |
| 303) | ს. კურდღელოვმა. | 1 | „ | „ |
| 304) | თეიმ. კუტივაძემ. | 1 | „ | „ |

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

15 მარტი.

**ხარკოვი.** სამოსამართლო პალატამ დაიწყო განხილვა ძმათა სკიტსკების საქმისა, რომელთაც პოლტავის სასულიერო კონსისტორიის მდივნის კომაროვის მოკვლა ჰბრალდებათ.

**ლონდონი.** სამეფო საგეოგრაფო საზოგადოების კრების დროს პრეზიდენტმა მაკგამ განაცხადა, რომ საზოგადოების წევრმა ლონგსტაფმა შემოსწირა 25,000 გირვანქა სტერლინგი იმ ფონდის გასაძლიერებლად, რომლითაც სამხრეთ პოლიუსში ექსპედიცია უნდა იქმნას გაგზავნილიო. ამიტომ ეხლა შეუძლიან საზოგადოებას ექსპედიციის მზადებას შეუდგეს. ეს ფონდი ეხლა შეიცავს 40,000 გირვანქა სტერლინგს.

**პარიზი.** ახალშენთა მთავარ-მდივანი მარტინო დანიშნულ იქმნა სამალიის სანაპირო ადგილების ადმინისტრატორად, გარდაცვალებულის მიზონის ნაცვლად.

**ნიუ-იორკი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, დღეს ფილიპინელებმა ომის დროს გაიმაგრეს სოფელი მარილაო და უკუ-აქციეს ამერიკელები არტილერიის მიშველებამდე. მოკლულ იქმნა 6 ამერიკელი, მათ შორის სამი აფიცერი; დაჭრილია 40 კაცი. მაგრამ შემდეგ ამერიკელებმა განდევნეს სიმაგრიდგან ფილიპინელები.

# განცხადებანი


## открывается подписка

на безцензурный

НАУЧНО-ЛИТЕРАТУРНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

# „Начало“

Журналъ «Начало» будетъ выходить ежемѣсячными книгами од 30 пэчатныхъ листовъ и содержать, кромѣ беллетристическихъ произведеній очерковъ, стихотвореній, научныхъ статей по всѣмъ отраслямъ знанія и статей публицистическихь, слѣдующіе постоянные отдѣлы: 1) внутреннее нобозрѣн-2) обозрѣніе провинціальной жизни и письма изъ провинціи; 3) иостранное, обозрѣніе и письма изъ-за границы; 4) литературное и журналь нобозрѣіе; ніе.—Въ библіографическомъ отдѣлѣ журнала будутъ печататься подписанныя авторами рецензіи на вновь выходящія книги.

Въ ближайшихъ книгахъ будутъ помѣщены, между прочимъ слѣдующія произведенія: К Баранцевичъ «Пожаръ» (разсказъ). В. Вересаевъ «Изъ лѣтнихъ встрѣчъ» (очерки).—Н. Гаринъ (Михайловскій) «Клотильда» (повѣстъ) «Мессеръ Гвидо Кавальканти», разсказъ Анатоля Франса, въ перев. С. ф. Ольденбурга.— Р. Гвоздевъ «Шаманъ» (разсказъ).— Н. А. Рубакинъ «Митрошкино жертвоприношеніе» (Изъ воспоминаній голоднаго года).—З. А.Венгерова «М. Метерлинкъ».— С. ф. Ольденбургъ«Есть лигбуддизмъ религія пессимизма?».— В. Г. Михайловскій «Развитіе русскаго земледѣлія въ XIX в.»— В. А. Іоновъ «Что такое „оскудѣніе центра“?»— А. Е. Лосицкій «Неурожай 1898 года».- Л. А. Кирилловъ «Неземледѣльческій отходъ крестьянскаго на ссееленія» М. И. Туганъ-Барановскій «Споры о Фабрикѣ и капитализмѣ (моимъ критикамъ).— П. Б. Струве «Основные моменты въ развитіи крѣпостного хозяйства въ XIX в. въ Россіи» —П. П. Масловъ «Заработная плата и рента въ русскомъ земледѣліи».—Г. Зиммель «Задача соціологіи», перев. Б. А. Кистяковскаго.

Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія липа: Б. В. Авиловъ, К. С. Баранцевичъ, С. Н. Булгаковъ, З А. Венгерова, проф. В. И. Вернадскій проф. К. А. Вернеръ. В В. Вересаевъ А. Э Вормсъ, Н. Гаринъ (Н. Г. Михайловскій), Р Гвоздевъ, М. О. Гершензонъ И. А. Гурвичъ, М. И. Гуровичъ, В. Э. Денъ, В. И. Ильинъ, В. А. Іоновъ, А. М. Калмыкова, Л. А. Кирилловъ, Л. Ф. Кржививцкій, А. А. Корниловъ, Б. А. Кистяковскіи, М. В. Крестовская, проф. Д. Н. Кудрявскій, А. Е Лосицкій, П. П. Масловъ В. Г. Михайловскій, Н. К. Муравьевъ, А. А. Никоновъ, кн. В. А. Оболенскій, проф. Д. Н. Овсянико-Куликовскій, И. Х. Озеровъ, проф С. Ф Ольденбургъ, В. В. Португаловъ, Н. А. Рубакинъ, А. А. Санинъ, В. Л. Сѣрошевскій, П. Б. Струве, П. Ф. Тепловъ, В. Ѳ. Тотоміанцъ, М. И. Туганъ. Барановскій, С Л. Франкъ, В. Я. Яковлевъ (В. Богучарскій). А. И. Яроцкій и др.

*УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:*

| | | |
|---|---|---|
| Подписная цѣна съ доставкой и пересылкой на годъ . . . | 10 р. | — к. |
| » « « « « « полгода . . . | 5 « | — « |
| « « « « « « три мѣсяца . . | 2 « | 50 « |
| « « « « безъ доставки и пересылки . . | 9 « | — « |
| « « « съ пересылкой за границу на годъ . . | 12 « | — « |

Принимается подписка въ главной конторѣ журнала: Малая Итальянская д. 5 кв. 25 и въ отдѣленіяхъ конторы: въ библіотекѣ Черкесовой (О. Н. Поповой), Невскій, 54, и въ книжномъ складѣ А. М. Калмыковой, Литейный, 60.

(10—2) Редакторъ-издательница **А. А. Воейкова.**

## ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1899 г.

журналъ политическій, литературно-художественный и сатири[...]

СЪ КАРРИКАТУРАМИ

# „РАЗВЛЕЧЕНІЕ“

вступаетъ въ **41** годъ своего усществованія

РАЗВЛЕЧЕНІЕ— журналъ вполнѣ **семейнаго характера**, не[...]ворствуетъ грубымъ вкусамъ толпы. а старается быть вполнѣ корректнымъ и приличнымъ.

**РАЗВЛЕЧЕНІЕ въ 1899 г., дастъ своимъ подписчикамъ:**

1) Пятьдесятъ номеровъ журнала, въ которыхъ [...] помѣщено болѣе 800 прекрасно исполненныхъ рисунков[...]ромъ, карандашемъ и въ краскахъ извѣстныхъ каррикатури[...] художниковъ. Литературный отдѣлъ будетъ вмѣщать въ[...] массу художественныхъ разсказовъ, сценъ, очерковъ, сти[...]реній и всякаго рода сатирическихъ и юмористическихъ [...]чей, дающихъ полную картину нравовъ современнаго [...]ства **столицъ и провинціи (провинціяльныя злобы дня** и курьез[...]дутъ помѣщаться въ текстѣ и рисункахъ). Въ продолжен[...]го года будутъ помѣщаться **юмористическія иллюстраціи** в[...]**скахъ** къ произведеніямъ извѣстныхъ русскихъ и иностран[...] поэтовъ и писателей. (Иллюстраціи эти полны захватываю[...] интереса по своему художественному исполненію).

Всѣ годовые подписчики получатъ ПРЕМ[...]

**ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬБОМЪ въ КРАСКАХЪ**

*Царь Феодоръ Іоановичъ*

Трагедія **Графа А. К. Толстого.**

Альбомъ будетъ заключать въ себѣ 12 картинъ въ кра[...] снятыхъ со сценъ піесы графа А. К. Толстого **„Царь [...] Іоановичъ“**, шедшей въ Москвѣ въ «Художественно-О[...]ступномъ театрѣ» подъ управленіемъ К. С. Станиславск[...] В. И. Немировича-Данченко.

Въ память столѣтія со дня смерти А. С. ПУШКИНА б[...] разосланъ ПУШКИНСКІЙ НОМЕРЪ посвященный памяти [...] Полное собраніе сочиненій популярнаго юмориста А. П[...] (А. П. Подурова).

Годовая цѣна журнала ШЕСТЬ РУБЛЕЙ, съ преміями СЕМЬ РУБЛЕЙ.

Допускается разсрочка: при подпискѣ **ТРИ** руб., въ мартѣ **одинъ** р., в[...]лѣ **одинъ** р. и маѣ **одинъ** р. (Пробный № высылается за три семик[...]чныя марки). Адресъ: **Москва, журналу РАЗВЛЕЧЕНІЕ.**

ГОДЪ III

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.

**НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАНННЫЙ ЖУРНАЛЪ**

# ТЕАТРЪ и ИСКУССТВ[О]

Въ журналѣ помѣщаются статьи по общественнымъ вопросамъ и теорі[...]скусствъ и литературы, фельетоны, критическіе этюды, беллетристик[...] ширныя корреспонденціи

ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

**52 №№ журнала** около 1000 стр., что составитъ за годъ изящный томъ на хорошей бумагѣ свыше ШЕСТИСОТЪ ПОРТРЕТОВЪ и иллюстрацій въ текстѣ **52 №[...] жур[...]**

**20** репертуарныхъ пьесъ, въ отдѣльной продажѣ стоющихъ около 30 р[...]

ОТДѢЛЬНЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ,

НОТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ и

отдѣльные выпуски, по мѣрѣ накопленія матеріала,

**„СЛОВАРЯ СОВРЕМЕННЫХЪ ДѢЯТЕЛЕЙ СЦЕН[Ы]“ куда войдутъ портреты, біографіи, характеристки артистовъ, п[...] музыкантовъ' драматическихъ писателей, композиторовъ, театра[...] критиковъ и т. п.**

**Въ 1897-8 гг.** печатались произведенія: Авсѣенко В. Г. Алекс[...]ва Н. А. Амфитеатрова А. В., Арбенина Н. Ф[...]стунова Э. Д., Бентовина В. И., Блейхмана Ю. И., Вейнберга П. И[...]дича П. П., Далматова В. П., Дѣянова А. И., Карнѣева И. В., Карп[...] П. Кнорозовскаго И. М., Коринфскаго А. А., Кояловича М. М., Кр[...]ко, Н. И., Кугеля А. Р., Ленскаго Ал. П., Немировича Данченко В[...] Немировича-Данченко Вл. Ив Плещеева А. А., Потапенко И. Н., Пр[...]жемскаго В. П., проф. Сакетти Л. А, кн. Сумбатова А. И., Тихонова[...]ен Федорова Н. Ф., Фруга С. Г Южнаго М. Г., Ясинскаго І. І. и др.

**Въ отдѣльныхъ приложеніяхъ были даны слѣд. пьесы,** имѣвшія ш[...]успѣхъ: «Трильби», «Катастрофа», «Наканунѣ», «Влюбленная», „Вѣра И[...]ева», «Трудовой день»». «Облачко», «Волшебная сказка», «Джентльмен[...]отая Эва», «Спиритизмъ», «Лизистрата», «Юность», «Сирано-де-Бержер[...] «Баба», «Стариничка романа», и т. д.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

За годъ со всѣми приложен. **6 РУБ.** за полгода со всѣми приложен. **4 РУ[...]**

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 р. и по 2 р: 1-го Мар. и 1-го [...]

Адресъ Редакціи и конторы С.-Петербургъ, Моховая 5,

[Р]едакторъ А. Р. Кугель. Издательница З. В Тимофѣева, (Хол[...]

(8—


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Мартъ 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ტუნისია), რედაქტორ-გამომცემელი ზ. [...]